

# ყველა განსხვავებული .dtkf sfyfcojhb



## რაგომ კამპანია?

1995 წელს ევროპის საბჭომ თავისი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კამპანიით - “ყველა განსხვავებული, ყველა თანსაწორი” აღნიშნა მეორე მსოფლიო ომის დასასრულის ორმოცდამეათე წლისთავი.

კამპანიამ მოახდინა ევროპის ახალგაზრდობის მობილიზება ერთი საერთო მიზნის გარშემო შეწყვეტილიყო რასიზმი, ანტი-სემიტიზმი, ქსენოფობია და შეუწყნარებლობა.

ათი წლის შემდეგ ევროპა დადგა სხვა ახალი საკითხების წინაშე - და ახალი თაობა იღებს ამ გამოწვევას.

ახალი კამპანია - “ყველა განსხვავებული, ყველა თანსაწორი” წამოწყებულ იქნა 2006 წლის ივნისში და ამჯერად მისი პრესპექტივა უფრო ფართოა.

კამპანია მიზნად ისახავს **მრავალფეროვნების** - ჩვენი განსხვავებული კულტურისა და გრაფიკების სიმდიდრის წარმოჩენას.

მისი მთავარი ფესვები გადგმულია ევროპის საბჭოს მთავარ მანდატში გაავრცელოს და დაიცვას **ადამიანის უფლებები**.

# ყველა განსხვავებული .dtkf sfyfcojhb



## წამოწყება

კამპანია გაიხსნება საპარლამენტო ასამბლეის იენისის სესიის დროს ხუთშაბათს, 2006 წლის 29 ივნისს.

პირველი მოვლენა მიეძღვნება კამპანიის ოფიციალურ წამოწყებას სადღეაგო პალატის შიგნით, რომელიც დაიწყება საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის რენე ვან ლერ ლინდენის, რუსეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ანდრეი ფურსენკოს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის გერი დევისის, ევროკომისიის წარმომადგენლის პასკალ ლეჟენესა და ევროპის ახალგაზრდული ფორუმის ვიცე-პრეზიდენტის ბაგინა შვარზმაირის სიგეებით.

გახსნაში მონაწილეობის მისაღებად საბჭოს გარეთ 13:00 საათზე საჰაერო ბურთებით, მუსიკის ფონზე შეიკრიბება მთელი ევროპის ახალგაზრდობა.

მუსიკა, თეატრი, ცეკვა, საკვები და გამოფენა კამპანიის ღონისძიებებზე წარმოადგენილი იქნება 18:30 საათიდან, ხოლო კამპანიის სადღესასწაულო საღამოს ევროპის ახალგაზრდული ცენტრი უმასპინძლებს.

## რას ვთავაზობთ ჟურნალისტებს?

ღონისძიებაზე აკრედიტაცია და ევროპის სასახლის პრესის ოთახში სამუშაო სივრცე, WiFi i-ით უზრუნველყოფილი.

საკონტაქტო ინფორმაცია: +33 (0)3 88 41 25 60

[pressunit@coe.int](mailto:pressunit@coe.int)

მთლიანად აღჭურვილი აუდიო ვიზუალური დანაყოფი გელე და რადიო ჟურნალისტებისათვის. აუცილებელია გელე და რადიო დაგეგმვის მაგიდასთან წინასწარი დაჯავშნა.

საკონტაქტო ინფორმაცია: გელევიზის, +33 (0)3 88 41 35 00 [tvcoord@coe.int](mailto:tvcoord@coe.int)

რადიო, +33 (0)3 88 41 26 01 [audiovisual@coe.int](mailto:audiovisual@coe.int)

უფასო ფოტოების მიღება შესაძლებელია ევროპის საბჭოს ვებ-გვერდის მეშვეობით [www.coe.int](http://www.coe.int)



## **შეკითხვები და პასუხები**

**კამპანია “ყველა განსხვავებული, ყველა თანასწორი” იწყება 2006 წლის ივნისში და გაგრძელდება წლის ბოლომდე. რა არის მისი მიზნები?**

“ყველა განსხვავებული, ყველა თანასწორი” წარმოადგენს პოლიტიკურ კამპანიას, რომელსაც მართავენ საბჭოს კულტურული კონვენციის (შექმნილი ურთიერთგაგებისა და მრავალფეროვნების განვითარებისათვის, რომელიც ღიაა უფრო მეტი ქვეყნისათვის, ვიდრე ევროპის საბჭოს 46 წევრი ქვეყანა) 49 ქვეყნის ახალგაზრდობა. კამპანიის მიზანია ახალგაზრდობის მობილიზება ერთი მესიჯის გარშემო, რომ ყველა აღამიანს, ყველგან აქვს უფლება იყოს ინდივიდი და ეპყრობოდნენ მას თანასწორობითა და სამართლიანობით.

კამპანია ხაზს უსვამს იმ ღირებულებებს, რომლებმაც ევროპის საბჭო 55 წელი აგარა, ღირებულებებს სადაც ყოველ ევროპელს აქვს დემოკრატიული გამოძახილის უფლება, რომ აღამიანის უფლებები უნდა იყოს ცხოვრების პრინციპი და სოციალურ სამართლიანობას კი ჰქონდეს ადგილი თანამედროვე საზოგადოების გულში.

### **რაგომ არის კამპანია ახლა მნიშვნელოვანი?**

ევროპის უკანასკნელმა მოვლენებმა დაგვანახეს, რომ ახალგაზრდობას ესაჭიროება არა მარტო სამუშაო და სოციალურ ცხოვრებაში ჩართვა, არამედ არსებობს აღამიანის უფლებების ცოდნის საჭიროება დისკრიმინაციის შემცირების მიზნით. ასევე აუცილებელია ახალგაზრდობის მონაწილეობა ადგილობრივ ურბანულ გარემოში, სკოლებში, უნივერსიტეტებსა და სამსახურებში. უფრო ხშირად კი ახალგაზრდობა გრძნობს იმას, რომ არაფერი აქვს სათქმელი.

**კამპანიის მესიჯის გავრცელება 48 ქვეყანაში წარმოადგენს უზარმაზარ საქმიანობას. როგორ იმელოვნებს ევროპის საბჭო ამის მიღწევას?**

კამპანია ვრცელდება ევროპის საბჭოს სათაო ოფისიდან, სტრასბურგიდან. კამპანიას კურიერებენ ევროპის ახალგაზრდული ცენტრის ექსპერტები, რომელთა საქმიანობა მიმართულია ახალგაზრდული საკითხებისადმი. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ არსებობს ევროპის მთავრობათა მხარდაჭერა და მხარში დგომა. თითოეული ქვეყანა განახორციელებს ეროვნულ კამპანიას და მის მთავარ მესიჯს მოარგებს განსაკუთრებულ რეალობას. ეს კი ნიშნავს იმას, რომ კამპანია ნამდვილად შეეხება დაბალ სოციალურ ფენებს.

# ყველა განსხვავებული .dtkf sfyfcojhb



**“ყველა განსხვავებული, ყველა თანასწორი” წარმოადგენს ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ ერთ-ერთ სლოგანს, რომელიც გამოიყენებოდა მანამდეღაც. რატომ გახდა საჭირო სლოგანის კიდევ ერთხელ გამოყენება?**

სლოგანი აღაპკირებული იქნა 1995 წლის მთავარი კამპანიისათვის და აღმოჩნდა იმდენად წარმატებული, რომ იგი გახდა ღამისმარე სიგევა ღისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობისათვის თავის დაღწევის მიზნით.

**რა არის ახალი ამ კამპანიაში?**

1995 წლის კამპანია კონცენტრირებული იყო რასიზმის, ანტი-სემიტიზმის, ქსენოფობიისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ. ახალი კამპანია კი არის უფრო ფართო. ჩვენი მესიჯი წარმოადგენს იმას, რომ ყველა ჩვენგანი არის განსხვავებული, თანასწორი განურჩევლად კანის ფერის, კულტურის, რელიგიის, ფსიქიური თუ გონებრივი შესაძლებლობისა თუ სექსუალური ორიენტაციისა.

**რატომ არის აუცილებელი კამპანიის გამეორება? ნიშნავს ეს იმას, რომ 1995 წლის კამპანია არ იყო წარმატებული?**

პირიქით, 1995 წლის კამპანია იყო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ევროპულ ღონეზე. მაგრამ 10 წელიწადში ბევრი რამ შეიცვალა, ევროპაში გამოიკვეთა ახალი გამოწვევები და აღმოჩნდა, რომ ახალი თაობა შეიძლება მობილიზებული იყოს მრავალფეროვნების, ადამიანის უფლებების დაცვაში მონაწილეობისათვის, შეუწყნარებლობისა და ღისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

**კამპანიის მთავარ ბურჯს წარმოადგენს მრავალფეროვნება, მონაწილეობა და ადამიანის უფლებები. რატომ არიან ისინი ასეთი მნიშვნელოვანი?**

ევროპის საბჭოს ერთ-ერთ ყველაზე ღიდ სიძლიერეს წარმოადგენს ევროპის მშენებლობა ღემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ძირეულ ღირებულებებზე, საღაც პატივს სცემენ იმ მრავალფეროვნებას, რომელიც რსებობს ევროპის კულტურებსა და გრაღიციებში. არავის სურს იცხოვროს ისეთ ევროპაში საღაც ყველა იყურება და მოქმედებს ერთნაირად, იკვებება ერთი და იგივე საკვებით და გააჩნიათ ერთნაირი კანონები. მრავალფეროვნება და განსხვავებულობა არის მნიშვნელოვანი და აუცილებელია მათზე ზრუნვა. ნამღვილი ღემოკრატია გულისხმობს იმას, რომ ყველა ადამიანის ხმა არის მოსმენილი, რომ ყველას აქვს სიგევის თქმის უფლება. სწორედ ეს არის ჭეშმარიტი მონაწილეობა და განსაკუთრებით ეს არის მნიშვნელოვანი ახალგაზრდობისათვის, რომელთაგანაც ბევრია უკმაყოფილო გრაღიციული პოლიტიკით. რაც შეეხება ადამიანის უფლებებს, ის წარმოადგენს საბჭოს უპირველეს პრიორიტეტს ააშენოს ისეთი ევროპა, რომელიც პატივს სცემს ყველა ადამიანის უფლებას განურჩევლად იმისა თუ ვინ არიან ისინი, საღ ცხოვრობენ და როგორი ცხოვრებით იცხოვრონ.



## **რას აკეთებს ევროპის საბჭო ახალგაზრდებისათვის**

### **ევროპული სახლი ახალგაზრდებისათვის**

1972 წლიდან ახალგაზრდები მთელი მსოფლიოდან ჩამოვიდნენ სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ევროპულ ახალგაზრდულ ცენტრში, რათა გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის გამოცდილება, შეესწავლათ ადამიანის უფლებები და მონაწილეობის უნარები. ევროპის საბჭო ხელმძღვანელობს 40-დან 50-მდე ღონისძიების ყოველწლიურ პროგრამას და მასპინძლობს ახალგაზრდობას პოლიტიკური პარტიებიდან, რელიგიური თუ კომერციული ჯგუფებიდან. მეორე ევროპული ახალგაზრდული ცენტრი გაიხსნა 1995 წელს ბუდაპეშტში, უნგრეთში.

### **ევროპული კანონები ახალგაზრდობის დასახმარებლად**

მინისტრთა საბჭოს კომიტეტი და საპარლამენტო ასამბლეა შეთანხმდნენ იურიდიულ ტექსტებზე მრავალ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ასევე მოიცავს ბავშვებისა და ახალგაზრდობის მონაწილეობას, ახალგაზრდა მუშაკებისათვის სამართლიანი პირობების შექმნას, ახალგაზრდა მიგრანტებისა და ლგოლვილების დახმარებას, განათლებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხებს.

### **ახალგაზრდებისათვის მშვიდობის სწავლება**

ევროპის საბჭოს მიერ 2004, 2005 და 2006 წლებში ორგანიზებულ მშვიდობის ბანაკებში ახალგაზრდებმა, განსაკუთრებით მათ, რომლებიც მოდიან კონფლიქტური ზონებიდან შეისწავლეს კონფლიქტების მოგვარების უნარები.

### **ახალგაზრდობის მოქმედების მხარდაჭერა**

ევროპის საბჭოს ახალგაზრდა აქტიური მოქალაქის ჯილდო, ამხნეებს ახალგაზრდებს გახდნენ აქტიური, რათა შეცვალონ თავიანთი ცხოვრება. ჯილდო ყოველ წელს გადაეცემა იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც შეძლეს რეგიონალურ თუ ადგილობრივ დონეზე თავიანთ საზოგადოებაში განსხვავების მოხდენა. წინა პრიზიორების პროექტები ეხებოდა ფეხბურთის მაგჩების დროს ძალადობის შეწყვეტას, ახალგაზრდების გამხნეებას ხმის მისაცემად, ახალგაზრდა ქალების მოყვანას პოლიტიკაში და თინეიჯერებს შორის თვით-მიანის პრევენციას.